ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302608239**
თარიღი: **23/03/2026**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ

განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

პროექტი მომზადებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მ/წლის 6 თებერვლის GOV 5 26 00003729 რეკომენდაციის საფუძველზე და მასში გამოსწორებულია რეკომენდაციაში მითითებული ხარვეზი, კერძოდ დაკორექტირდა მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო.

ვინაიდან დადგენილების მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

საკითხის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის შოთა ჩაგუნავას კანდიდატურას.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

GOV 5 26 00003729

06/02/2026

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 130-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილების თანახმად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტი, თავისი კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელების ხელშეწყობას.

ზემოაღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 20 იანვრის №2 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი:

განსახილველი დადგენილებით ახალი რედაქციით დამტკიცებულ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების“ დანართში მერიის პირველი რანგის იერარქიული თანამდებობის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - სამსახურის უფროსის თანამდებობრივი სარგო (3520 ლარი) არ შეესაბამება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“საქართველოს კანონს. კერძოდ, დასახელებული კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ან/და მათ მიერ დაფუძნებული/მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულებების მოხელეთა თანამდებობებისათვის თანამდებობრივი სარგოები დგინდება თანამდებობის/პოზიციის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, **საბაზო თანამდებ ბრივი სარგოს ამ კანონის№2 დანართის№2 ცხრილით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტ ზე ნამრავლით და აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.** როგორც მოგეხსენებათ,2026 წლის საბაზო თანამდებობრივი სარგო „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით

განისაზღვრა 1600 ლარით. შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსის 3520-ლარიანი თანამდებობრივი სარგოს დაანგარიშებისას 1600 საბაზო სარგო გამრავლებულია **2.2 კოეფიციენტზე,** თუმცა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის №2 დანართის №2 ცხრილში საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგოს სახელფასო კოეფიციენტების კატეგორიებში 2.2 არ არის. ამ თანამდებობას შეესაბამება შემდეგი კოეფიციენტების კატეგორიები: 1.00; 1.30; 1.50; 1.70; 2.00; 2.30; 2.60; 2.90; 3.20; 3.50. ამასთან, საყურადღებოა, რომ განსახილველი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილების 2025 წლის რედაქციაში ამავე თანამდებობებისთვის **განსაზღვრული იყო 2.0 კოეფიციენტი**. ამდენად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა 2026 წლის 1 იანვრიდან ასამოქმედებელი თანამდებობრივი სარგოები ექვემდებარება მართებულად დაანგარიშებას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების ცხრილში ასახვას.

ზემოაღნიშნული შენიშვნიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 132-ე მუხლის შესაბამისად, დროულად უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
ადმინისტრაციის უფროსი

ლევან ჟორჟოლიანი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2026 წლის მარტი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“–ს 106^1–ე მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 106^2–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

დანართი

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2026 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2026 წლის აპრილი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში (სსმ, ვებ.გვერდი 27/12/2017 სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.112.016320) შევიდეს ცვლილება, კერძოდ, დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

თანამდებობათა დასახელება	საშტატო რიცხოვნება	სარგო (ლარი)
ხელმძღვანელობა	3	
მერი	1	7200
მერის პირველი მოადგილე	1	5600
მერის მოადგილე	1	5120
პირველადი სტრუქტურული ერთეული - ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური	18	
პირველი რანგი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -სამსახურის უფროსი	1	3680
სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება.	3	
მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი	1	2560
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1760
მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1600
მეორადი სტრუქტურული ერთეული-ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება	3	
მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი	1	2560
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1760
მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	1440
ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან ურთიერთობის და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება.	3	

მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი	1	2880
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1760
მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.	1	1600
მეორადი სტრუქტურული ერთეული - საქმის წარმოებისა და არქივის განყოფილება	5	
მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი	1	2560
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1760
მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1600
მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	2	1440
მეორადი სტრუქტურული ერთეული - საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება	3	
მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1	2560
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1760
მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1600
პირველადი სტრუქტურული ერთეული - ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური	12	
პირველი რანგი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -სამსახურის უფროსი	1	3680
მეორადი სტრუქტურული ერთეული - სივრცითი მოწყობის განყოფილება	3	
მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -განყოფილების უფროსი	1	2560
მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1600
მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	1440
მეორადი სტრუქტურული ერთეული - ინფრასტრუქტურის განყოფილება	6	

მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1	2560
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1760
მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	1600
მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	1440
ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილება	2	
მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1	2560
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1760
პირველადი სტრუქტურული ერთეული - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური	14	
პირველი რანგი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი	1	3680
მეორადი სტრუქტურული ერთეული -საბიუჯეტო განყოფილება	3	
მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- განყოფილების უფროსი	1	2560
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1760
მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1600
მეორადი სტრუქტურული ერთეული - ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების გაყოფილება	3	
მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1	2560
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1760
მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1600
მეორადი სტრუქტურული ერთეული - სახაზინო და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის განყოფილება	3	
მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1	2560

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1760
მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1600
მეორადი სტრუქტურული ერთეული - შესყიდვების განყოფილება	4	
მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1	2560
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1760
მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	1600
პირველადი სტრუქტურული ერთეული - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური	11	
სამსახურის უფროსი პირველი რანგი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	3680
მეორადი სტრუქტურული ერთეული -ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	4	
მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1	2560
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1760
მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	1600
მეორადი სტრუქტურული ერთეული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება	6	
მეორე რანგი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1	2560
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1760
მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	1600
მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	1440
პირველადი სტრუქტურული ერთეული - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის,ტურიზმის,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	8	

პირველი რანგი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი	1	3680
მეორადი სტრუქტურული ერთეული - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება	3	
მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1	2560
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1760
მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1600
მეორადი სტრუქტურული ერთეული - კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილება	4	
მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1	2560
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	1760
მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1600
პირველადი სტრუქტურული ერთეული - ზედამხედველობის სამსახური	6	
პირველი რანგი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი	1	3680
მეორადი სტრუქტურული ერთეული - მუნიციპალური ინსპექტირების განყოფილება	4	
მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1	2560
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1760
მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	1600
პირველადი სტრუქტურული ერთეული- შიდა აუდიტის სამსახური	5	
ირველი რანგი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -სამსახურის უფროსი	1	3680
მეორადი სტრუქტურული ერთეული - შიდა აუდიტის განყოფილება	2	
მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1	2560

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1600
მეორადი სტრუქტურული ერთეული - რეკომენდაციების, მონიტორინგისა და დისციპლინური წარმოების განყოფილება	2	
მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1	2560
მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1600
პირველადი სტრუქტურული ერთეული- ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური	7	
პირველი რანგი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი	1	3680
მეორადი სტრუქტურული ერთეული - ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილება	6	
მეორე რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1	2560
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	1760
მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	1600
მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	1440
ჯამი	84	
ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული -მერის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში	16	2350
ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული -სპეციალისტი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში	27	1130
ჯამი	43	
სულ ჯამი	127	